



საქართველოს პრეზიდენტს მოვუწოდებთ მუსტაფა ემრე ჩაბუქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს

ქართული საზოგადოება თითქმის ნახევარი წელია დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის პედაგოგისა და მენეჯერის მუსტაფა ემრე ჩაბუქის მიმართ უსამართლობასა და მისი ოჯახის ტრაგედიას [აღფენებს თვალს](#).

ქართველმა სამართალდამცავებმა მ.ე. ჩაბუქი 2017 წლის 24 მაისს, თურქეთის მხარის მოთხოვნით დააკავეს და მას წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდეს, ხოლო ოჯახის წევრები, მათზე განხორციელებული მექარის გამო, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართო. დღეს თბილისის სააპელაციო სასმართლომ არ დააკამყოფილა მუსტაფა ემრე ჩაბუქისა და მისი ოჯახის წევრებისთვის [ლტოლვილის—სტატუსის](#) მინიჭების შესახებ საჩივარი, რაზეც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ჩაბუქის [ექსტრადიციის](#) საკითხიც. ექსტრადაციის შემთხვევაში დიდია რისკი იმისა, რომ ჩაბუქი დაექვემდებაროს არაადამიანურ მოპყრობას და შესაძლოა წამების მსხვერპლი გახდეს.

სამწუხაროდ, [ჩაბუქის](#) მიმართ განხორციელებული ქმედებები დემირელის სკოლის სხვა მასწავლებლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის არაპირდაპირი გზავნილია და ისინი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



თავს დაცულად ვერ გრძნობენ საქართველოს ტერიტორიაზე.

დემირელის კოლეჯი და შავი ზღვის უნივერსიტეტი ჩაღღარის საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ნაწილია, რომელიც საქართველოში 24 წელია ფუნქციონირებს და ახალგაზრდებს (დღემდე 30 000 მოსწავლემ და სტუდენტმა დაამთავრა ეს სასწავლებლები, ბევრმა მათგანმა არაერთ საერთაშორისო ოლიმპიადაზე მოუტანა საქართველოს წარმატება) მაღალი ხარისხის განათლებას სთავაზობს პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. მათი ნაწილი საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის უკვე გახდა საქართველოს მოქალაქე.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით, გამონაკლისის წესით მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა მუსტაფა ემრე ჩაბუქს და მისი ოჯახის წევრებს, ასევე დემირელის კოლეჯისა და შავი ზღვის უნივერსიტეტის პედაგოგებს, რომელთაც საქართველოს წინაშე მართლაც აქვთ განსაკუთრებული დამსახურება და სურვილი გახდნენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები. ვფიქრობთ, ამ ნაბიჯით მათი უფლებები უფრო მეტად იქნება გარანტირებული და დაცული საქართველოს ტერიტორიაზე.

1. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
3. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
4. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
5. კავშირი საფარი
6. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
7. მედიის განვითარების ფონდი
8. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
9. მწვანე ალტერნატივა
10. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



11. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
12. საქართველოს ატლანტიკური საბჭო
13. კვლევითი ჟურნალისტიკისა და ადვოკატირების ცენტრი
14. საზოგადოება და ბანკები
15. კონსტიტუციის 42- ე მუხლი
16. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
17. სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი
18. სამოქალაქო განვითარების სააგენტო
19. ადამიანის უფლებათა ცენტრი
20. კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
21. საქართველოს რეფორმების ასოციაცია
22. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი